ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4214258

ნომერი: AR1635468

თარიღი : 05.10.2018

გაცემის თარიღი : 11.10.2018

გაცნობის თარიღი : 12.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კობარეთი , N1;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ალექსიშვილი პ/ნ 01024016364
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 1ბ

ორგანიზაცია:
- შპს "ჰოლდინგი საქართველო" კოდი: 211752021

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 05 ოქტომბრის AR1635468 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კობარეთის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.17.13.001.365) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას,

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი და მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.13.001.366) წარმოადგენდა ერთ საკადასტრო ერთეულს, რომლის გამიჯვნის შედეგად ერთიანი არეალი გაიმიჯნა ქალაქგეგმარებითი პრინციპების დარღვევით, ისე, რომ მეორე ნაკვეთი გაბარიტული ზომებითა და ფართობით დარჩა საცხოვრებელი ზონის მაჩვენებელებისთვის არადამაკმაყოფილებელი. იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე, საჭიროა ხსენებული ნაკვეთების ან გაერთიანება და ერთიანი ნაკვეთის ფარგლებში მსჯელობა, ან მოხდეს ხელახალი გამიჯვნა ისე რომ დაცული იყოს მიწის ნაკვეთისთვის კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრები და ქალაქგეგმარებითი კუთხით მისაღები პროპორციები (სიღმე, სიგანე, ფართობი).

ვინაიდან არც ამ ეტაპზე თქვენ მიერ არ მომხდარა ზემოაღნიშნულის გათვალისწინება, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ უკვე გეცნობათ ინფორმაცია №4134165 გადაწყვეტილებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.